„უფრო მეტი მზრუნველობა გვმართებს ადამიანთა თავისუფალი დროის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მუშაობის ორგანიზაციისათვის, ტურიზმის, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის.“

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. **შევარდნაძის** სიტყვიდან იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარის გახსნისას 1981 წლის 6 ივლისს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 131
(6942)

8
1981 წ.
ივლისი,
ოთხშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გვიხმობს მშობლიური მთა-ბარი

იხ. მე-2 გვ.

კონკურსი: ვისი მოედანი და სპორტკლუბებია უკეთესი?

მოედნები ზღვის პირას

კონკურსში მონაწილეობის სურვილი ბათუმელებმაც გამოთქვეს და საექსპლოატაციო კანტორების პრესტიჟის დასაცავად ინასარიძის ქუჩაზე მდებარე №8 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის მარტივი ტიპის სპორტული მოედნები წარმოადგინეს.

ეს მცირე სპორტული კომპლექსი, რა თქმა უნდა, ვერ შეედრება თბილისის იმ სპორტკლუბებს, რომლებიც ჩვენი კონკურსის მიხედვით გავაშუქეთ „ლელოში“, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ინასარიძის ქუჩის ბინადარნი (დიდი თუ პატარა) ყოველ საღამოს იკრიბებიან აქ და გვიანობამდე ერთობიან მოძრავი თამაშობებით. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოედნები სულ რაღაც ერთი წელია რაც მოაწყვეს. ამ საქმის თავკაცობა კოოპერატივის თავმჯდომარემ შუქრი შარაძემ ითავა, მას მხარში ამოუდგნენ: ვ. ჩხაიძე, ნ. შეშელიძე, რ. ბრუნჯაძე, თ. ბოლქვაძე, დ. ბოლქვაძე, მ. ნუცუბიძე და სხვები. ენთუზიასტებმა დაჭაობებული ადგილი ამოაშრეს და შვიდასი ძირი ხე დარგეს.

საშურ საქმეს შესაფერისი მხარდაჭერა მოჰყვა, კერძოდ, სახალხო დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოსა და ქალაქის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან. გამოიყო ადგილი მინი-ფეხბურთის მოედნისათვის, დადგეს ფეხბურთისა და ხელბურთის მოძრავი ფარები. ორიოდ კვირაში ამ „მინი-კომპლექსს“ ბადმინტონის მოედანს მიუმატებენ. მოედნების ირგვლივ საცხოვრებელი კორპუსებია და ამიტომ აქ, როგორც წესი, ყოველ შაბათ-კვირას მობინადრეთა შორის შეჯიბრებები იმართება.

— მალე ფეხბურთის მოყვარულთათვის გასახდელს ავაშენებთ, — გვეუბნება ბათუმის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ქ. გუგუშვილი, — სექტემბრიდან კალათბურთის სექციას გავხსნით და ვიმედოვნებთ, რომ სულ მალე № 8 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის ამ მარტივი სპორტული მოედნების ბაზაზე ერთ-ერთ თვალსაჩინო სპორტულ კლუბს შევიძენთ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ფეხბურთის დიდი ტრადიციების ქალაქში, ბათუმში დღესდღეობით მხოლოდ სამი ფეხბურთის მოედანია, აშკარაა ამ კარგი წამოწყების სიკეთე. ამ ზღვისპირა ქალაქში უყვართ ფიზიკური კულტურა და სპორტი. ბათუმის №8 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის მარტივი ტიპის მოედანი, ვიმედოვნებთ, არაერთ მოზარდს გაუხსნის გზას სპორტის მშვენიერი სამყაროსაკენ, მობინადრეებს კი მხნეობას და ჯანმრთელობას მოუტანს.

• • •

კონკურსში მონაწილე სპორტკლუბებისა და მოედნების დათვალიერება გრძელდება. მალე გორს ვეწვევით. შეგახსენებთ, რომ **კონკურსის შედეგებს გამოვაქვეყნებთ 8 აგვისტოს, საბჭოთა ფიზკულტურელის დღეს.** წარმატებას ვუსურვებთ კონკურსის მონაწილეებს!

ნ. იმედაშვილი.

• • •



სურათზე: ბათუმის ინასარიძის ქუჩაზე მდებარე მარტივი ტიპის სპორტული მოედნები.
ავტორის ფოტო

გველიან ლურჯა ცხენები

საქართველოში საცხენოსნო ტურიზმი მოგზაურობის ყველაზე ძველი და იმავ დროს... ახალი საშუალებაა. უძველესია რადგან, წინათ წარმოუდგენელი იყო ცხენის გარეშე მოგზაურობა. მერე და მერე ტექნიკურმა პროგრესმა ცხენი თანდათან განდევნა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან. დღეს კი ბევრ თბილისელს იგი მხოლოდ კინოეკრანზე თუ უნახავს.

— ცხენოსნობა რომ ჩაკვდეს, მეტად სამწუხარო, პირდაპირ გამოუსწორებელი ამბავი იქნება, — გვეუბნება ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი **ზაზა აბზიანიძე,** — ბევრი თბილისელი ახალგაზრდის გაფითრებული სახე, მოხრილი მხრები, ავადმყოფური შესახედაობა, ქალაქური უსუსურობისა და უმწეობის ქრესტომათიული მაგალითია. ახალგაზრდობის გაკაჟების ერთ-ერთ საშუალებად კი ცხენოსნობა და საცხენოსნო ტურიზმი მესახება. ცხენით მოგზაურობისას ადამიანი ფიზიკურად ხომ თავისთავად იწრთობა და იწრთობა, მაგრამ იმავე დროს მხედარი გაცილებით უკეთ ალიქვამს გარემოს, ვიდრე ქვეითად, ავტომობილით თუ სხვა საშუალებებით მოგზაური. ამაში პირადი გამოცდილებით შემიძლია დაგარწმუნოთ. წინათ ერთ და იმავე ადგილებში მრავალჯერ ვყოფილვარ ზურგჩანთამოკიდებული, ბევრი რამ მინახავს, დიდი სიამოვნება და სიხარული განმიცდია, მაგრამ როცა იმავე ადგილებში ცხენით ვიმოგზაურე, ბევრი რამ ახალი აღმოვაჩინე, რაც მანამდე თურმე შეუმჩნეველი დამრჩენოდა.

•

ზაზა აბზიანიძე ბუნებისა და მოგზაურობის დიდი მოყვარულია. ამ სიყვარულს მიჰყავს ბუმბერაზ მთათა მწვერვალებთან, ტყეში გაჭრილ საცალფეხო ბილიკებთან, თუ ბობოქარ მდინარეებთან შესახვედრად. ბოლო ხანს საცხენოსნო ტურიზმმაც გაიტაცა და ამ გატაცებამ თბილისის იპოდრომზე მიიყვანა. ახლა იგი ახალბედებს საზოგადოებრივ საწყისებზე ასწავლის საცხენოსნო ტურიზმის ანბანს.

საინტერესოა, რომ საცხენოსნო ტურიზმით გატაცებულთა შორის ყველაზე მეტად მთამსვლელები გვხვდებიან. მათ შორის არიან სამხატვრო აკადემიის პედაგოგი **დიმიტრი დანგაძე,** არქიტექტორი **კონსტანტინე ქავთარაძე,** მხატვრული თარგმანის ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის განყოფილების გამგე **ნოდარ ებრალიძე** და სხვები; ისინი საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებენ საცხენოსნო ტურიზმის მოყვარულთ.

მათგან ყველაზე მეტად დანგაძე გამოირჩევა. იგი ხომ ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორია. დანგაძე, ქავთარაძე, ებრალიძე და აბზიანიძე განსაკუთრებული სიყვარულით გვესაუბრებიან ცხენზე, დიდი გატაცებით მოგვითხრობენ საცხენოსნო ტურიზმზე. მათ, როგორც ცხენოსნობის ქომაგთ, დიდად ახარებთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული ერთობლივი დადგენილება „მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და საცხენოსნო ტურიზმის განვითარების შესახებ“.

— ამ დადგენილების შემდეგ რა ღონისძიებები გატარდა თბილისის იპოდრომზე საცხენოსნო ტურიზმის გასაუმჯობესებლად? — ვეკითხებით თბილისის იპოდრომის დირექტორს **ომარ ლორთქიფანიძეს.**

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული ერთობლივი დადგენილება, რა თქმა უნდა, ბევრს გვავალებს და უკვე ბევრის გაკეთებაც მოვასწარით. შარშან მაგალითად, მოვემსახურეთ 6000 კაცს, რომლებმაც ტურისტულ ბილიკებზე საერთო ჯამში 1500 კილომეტრი დაფარეს. შარშან და შარშანწინ ავითვისეთ 10-დღიანი საცხენოსნო ტურისტული მარშრუტები შატილში, მთათუშეთში, ბო-

(დასასრული მე-2 გვ.).

მოგებით დაიწყეს

ვილნიუსში გუშინ საღამოს დამთავრდა მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული კალათბურთელთა შეხვედრები ქვეჯგუფებში. ბოლოსწინა ტურში კვლავ ვერაფრით გაგვახარეს საქართველოს წარგზავნილებმა, ჩვენი გოგონები დიდი ანგარიშით (42:73) დამარცხდნენ ლენინგრადელებთან, ხოლო ჭაბუკებმა მატჩი წააგეს ლატვიელებთან — 35:53. მათ დაჰკარგეს ფინალურ ჯგუფში შესვლის შანსები.

სამაგიეროდ, **კაუნასში,** სადაც ფეხბურთელთა წინასწარი შეხვედრები დაიწყო, სტარტზე წარმატებას მიაღწია საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა. მისი მეტოქე იყო ლატვიის გუნდი. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა ალმავლობით ითამაშეს და მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 4:0. გოლები გაიტანეს: გ. გოგრიჭიანმა (2), გ. გურულმა და თ. ფეიქრიშვილმა. მეორე ტურში საქართველოსა და სომხეთის გუნდების მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. გოლი აქაც გოგრიჭიანმა გაიტანა.

გუშინ უეფა-ს საშტაბო ბინაში გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების კენჭისყრა.

თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ წრეში **თბილისის „დინამოს“ მეტოქეა ავსტრიის კლუბი „გრაცერი“.**

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გველიან ლურჯა ცხენები

დასასრული

რჯომის ხეობაში, ბაკურიანში. გვაქვს 1-2 დღიანი მარშრუტები თბილისის შემოგარენში, 3-4-5 დღიანი მარშრუტები თრიალეთის ქედზე. შარშან მხოლოდ თბილისელ მუშა-მოსამსახურეებს ვემსახურებოდით. წლეულს კი ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოსთან ხელშეკრულება დავდეთ, მოვემსახუროთ სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ ტურისტთა 26 ჯგუფს. თითოეულ ჯგუფში 15 კაცი იქნება. უკვე ვუმასპინძლეთ სვერდლოვსკელ ტურისტებს. ვაჩვენეთ მათ ბეთანია. ჯგუფში 11 ქალი და 3 კაცი იყო. ინსტრუქტორებად დიმიტრი დანგაძე და შოთა ელისაშვილი ახლდნენ. მონასტრის მახლობლად ტურისტებს წინასწარ მოწყობილი კარვების ქალაქი, ცხენების დასაბმელი დახვდათ. ლაშქრობის შემდეგ გვითხრეს, ასეთი კმაყოფილნი ჯერ არც ერთ ტურისტული ლაშქრობიდან არ დავბრუნებულვართო.

⊙ ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოსთან დადებული ხელშეკრულება ხელს ხომ არ შეგიშლით თბილისელ მუშა-მოსამსახურეთა მომსახურებაში?

— ტურისტული მოგზაურობისთვის თუშურ ცხენზე უკეთესი არ გვეგულება. იგი საოცრად ჭკვიანი, თვინიერი და იოლი სამართავია. თავლებში 18 ასეთი ცხენი გვყავს. იოლი შესაძლებელია, რამდენიმე მათგანი დაშავდეს და ვერ გამოვიყენოთ. ეგეც არ იყოს, 18 ცხენი ჩამოსულ და ადგილობრივ ტურისტებს ვერ გაწვდება. ამიტომ ვცდილობთ ტურისტული ლაშქრობები ერთმანეთს არ დავამთხვიოთ, სტუმრებსაც დაუბრკოლებლად მოვემსახუროთ და თბილისელებსაც.

⊙ ყველა მსურველს შეუძლია ცხენით მოგზაურობა?

— ყველას, ვისაც წინასწარი მომზადება გავლილი აქვს და შესაბამისი მოწმობაც ექნება. ახალბედებისთვის 10 საათიანი პროგრამის გავლა აუცილებელია. დღეში 2 საათიან საწვრთნელ ვარჯიშებს გამოცდილი ინსტრუქტორები ატარებენ. შემდეგ კი 10-კაციან ჯგუფს შაბათ-კვირას 2 ინსტრუქტორის თანხლებით თბილისის შემოგარენში ერთდღიანი მარშრუტით ვუშვებთ. რაც შეეხება სხვა რესპუბლიკის ტურისტებს, დროის უქონლობის გამო მათ დღეში 2-ჯერ, 2-2 საათს ვამეცადინებთ. თუ დავრწმუნდებით, რომ პროგრამა მთლიანად აითვისეს, ვაძლევთ სათანადო მოწმობას, რისი ძალითაც შეუძლიათ სხვა რესპუბლიკებში არსებული საცხენოსნო ტურისტული სექციებითაც ისარგებლონ წინასწარი მომზადების გარეშე.

⊙ როგორი პრინციპით ხელმძღვანელობთ საცხენოსნო ტურისტული მარშრუტების შედგენისას?

— საცხენოსნო ტურისტული მარშრუტები ისეა შედგენილი, რომ ლაშქრობის მონაწილეებს შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლებს და დაათვალიერონ ისეთი მომხიბლავი ადგილები, როგორიცაა მდინარე ვერეს ხეობა, ბეთანიის შემოგარენი, სამადლო, ბევრეთი, ლისის ტბის მიდამოები...

⊙ მომავლისათვის ალბათ მუშაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლა გაქვთ განზრახული.

— რა თქმა უნდა, მიღწეულით არ ვკმაყოფილდებით. მაგალითად. ბეთანიაში 6 ჰექტარი ფართობი გამოგვიყვეს, სადაც გაისად სტაციონარული ბანაკის მშენებლობის დაწყებას ვაპირებთ. ამგვარი ბანაკების მშენებლობის წამოწყებას სხვაგანაც ვფიქრობთ. ვაპირებთ ცხენოსანთა კლუბის ჩამოყალიბებას... გეგმები ბევრი გვაქვს და იმედია, მათ განვახორციელებთ კიდეც. ამაში უთუოდ დაგვეხმარება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული ერთობლივი დადგენილება „მეცხენეობის, საცხენოსნო სპორტისა და საცხენოსნო ტურიზმის განვითარების შესახებ“.

საუბარი ჩაიწერა
ა. გურასაშვილმა.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: თუშურ ცხენებზე „ამხედრებული“ სვერდლოვსკელი ტურისტები ბეთანიაში (ზემოთ); ტაძართან.

თ. ქიქავას ფოტოები.

გვიხმობს მშობლიური მთა-ბარი

ტურისტული
გვერდი
№ 2 (40)

ანკესებით მდინარე სუფსაზე

ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჩოჩხათის მიდამოებში დიდი ინტერესი გამოიწვია მდინარე სუფსაზე გამართულმა „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს პირადგუნდურმა პირველობამ სპორტულ თევზჭერაში. ასპარეზობაში 13 გუნდის 130 მუშა-მოსამსახურე ჩაება.

თითოეულ სპორტსმენს ერთი ანკესის გამოყენების უფლება ჰქონდა. ექვსსაათიანი თევზაობის შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა საბოლოო შედეგები. ყველაზე მეტი წვერა და ქაშაყი — 194 აღმოაჩნდა ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კოლექტივს (ინსტრუქტორ-მეთოდისტი თ. თავართქილაძე). II ადგილზე გამოვიდნენ ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების, ხოლო მესამეზე — ტრანსფორმატორების ქარხნის წარმომადგენლები.

პირად ასპარეზობაში გაიმარჯვა ე. შელდიშევმა, რომელმაც 38 თევზი დაიჭირა, მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ვ. მალაკანი (30) და მ. პეხოტნი (27). სამივე მეთევზე ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის წარმომადგენელია.

ო. მურვანიძე.
(„ლელოს“ კორ.).

მიწისქვეშეთის წარმტაცი სამყარო

„თოვლიანის“ საიდუმლო

მღვიმე „თოვლიანი“, რომელიც ბზიფის ქედის ულელტეხილზე, ზღვის დონიდან 1900 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, ყველაზე ღრმაა ჩვენს ქვეყანაში. ეს დაადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ, რომელიც აქ შარშანწინ იმყოფებოდა. ექსპედიციის წევრთა გამონაგარიშებით აქ მოხერხდა 1.120 მეტრზე ჩასვლა. ეს არის ჩვენი ქვეყნის სპელეოლოგთა რეკორდი და აღმოჩენა.

ამრიგად, „თოვლიანი“ მესამე ადგილზეა საფრანგეთის ულრმესი პიერ-სენ მარტენისა (1.332 მ.) და ჟან-ბერნარის (1.298 მ.) მღვიმეების შემდეგ. ვარაუდობენ, რომ უფსკრულის სიღრმე გაცილებით მეტია და შესაძლოა აქ გაუმჯობესდეს სიღრმეში ჩაღწევის მსოფლიო რეკორდი, რომელიც ფრანგ სპელეოლოგებს ეკუთვნის.

— ამ მღვიმეში ბევრი რამაა საინტერესო, — განაცხადეს ექსპედიციის წევრებმა ა. მოროზოვმა და დ. უსიკოვმა, — უწინარეს ყოვლისა საინტერესოა მიკროკლიმატი, ჰიდროლოგიური რეჟიმი, ფაუნა. მღვიმეში აღმოვაჩინეთ მრავალფეხები, პატარა უფერო არსებანი. როგორ უნდა მოხდეს მათი კლასიფიკაცია, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. მათი ზემოთ ამოყვანა კი ვერაფრით მოვახერხეთ. განსაკუთრებით საინტერესოა თოვლისა და ყინულის კონუსი, რომელიც აღმართულია მღვიმის ერთ-ერთ დარბაზში 170 მეტრის სიღრმეში. გამორიცხული არაა, რომ ყინული რელიქტური იყოს. თუ ეს ასეა, მაშინ მისმა შესწავლამ შეიძლება მოგვცეს წარმოდგენა შორეული წარსულის ფლორისა და ფაუნის შესახებ.

დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს უდიდესი დარბაზები — ფანრის სინათლემ ზოგან თაღის სიმაღლეს ვერც კიააღწია. აღმოჩენილია კალციტის წინათ უცნობი წარმონაქმნები, გაკვირვებას იწვევს ქვის „ყვავილები“. აბა, წარმოიდგინეთ რაღაც ჯადოსნური სილამაზის თეთრი ქათქათა მცენარე, რომელიც 30-40 სანტიმეტრი სიმაღლის ნაძვისხეს წააგავს და ხელის მიკარებაზეც კი იმსხვრევა...

მღვიმეში არის ტბები, ჩანჩქერები, ჭები. ერთი მათგანის სიღრმე 160 მეტრია. მეორე ჭა, როგორც ჩანს, გაცილებით ღრმაა — არც კი ისმის იქ გამდინარე წყლის ხმა. მღვიმეში მეტად საგრძნობია სინესტე და სიცივე. თუმცა რაც უფრო ღრმად ჩადიხარ, უფრო „თბება“ — თუ მღვიმის შესასვლელში მთელი წლის მანძილზე ტემპერატურა ნულის დონეზეა, სამაგიეროდ, 965 მეტრის ნიშნულზე 5-6 გრადუსით მაღალია.

კარსტული გამოქვაბულების მხარე

— საქართველოში 500-ზე მეტი კარსტული მღვიმე, უფსკრული და კანიონია გამოვლენილი, — ამბობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგიისა და სპელეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ზ. ტინტილოზოვი. — მათი საერთო სიგრძე რამდენიმე ათეული კილომეტრია. უკანასკნელ ხანს რაჭის ქედზე აღმოჩენილია ხუთი უცნობი მღვიმე. შარშანწინ აქ იყო ჩვენი ლაბორატორიის ექსპედიცია დოცენტ შ. ყიფიანის ხელმძღვანელობით. ეს ლამაზი მღვიმეები ხასიათდება უდიდესი მასშტაბით, ყოველ ნაბიჯზე გვხვდება სტალაქტიტები და სტალაგმიტები, გრანდიოზული ფარდები და პატარა, მეტისმეტად ლამაზი გალაქტიკები, ბუნების სხვა საოცრებანი.

იქმნება ტურისტული ცენტრი

აბრსკილის მღვიმე ოჩამჩირის მახლობლად მდებარეობს. უკვე არსებობს მღვიმის კეთილმოწყობის პროექტი. მღვიმესთან მივა საავტომობილო გზა, მის სიახლოვეს განლაგდება ტურისტული ობიექტები. მღვიმის კეთილმოწყობის სამუშაოები წლეულს დაიწყება.

აბრსკილი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი ბუნებრივი ძეგლია. როცა სამუშაოები დამთავრდება, მღვიმე ფართო საზოგადოებრიობისათვის ხელმისაწვდომი გახდება ისევე, როგორც ახალი ათონის განთქმული მღვიმე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილია ჩვენს ქვეყანაში.

ტურისტული, აგრეთვე მეცნიერული კვლევისა და გამოყენების თვალსაზრისით ერთობ საინტერესო და პერსპექტიულია ცუცხვათის 13 სართულიანი მღვიმეთა სისტემა ქალაქ ტყიბულის მახლობლად. ექსპედიციამ ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიის განყოფილების გამგის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ლ. მარუაშვილის ხელმძღვანელობით აქ აღმოაჩინა ნეანდერტალოიდების საკულტო მღვიმე დათვის თავის ქალებით და ბარძაყის ძვლებით. მსოფლიოში ეს პირველი შემთხვევაა, როცა მღვიმე გამოყენებულია საკულტო დანიშნულებისათვის. აქვე, კავკასიის ტერიტორიაზე პირველად აღმოაჩინეს განმარხებული მზრალობითი ფორმა, რითაც დასტურდება, რომ ჩვენში ოდესღაც გამყინვარება ყოფილა.



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნიდან — „კანიონის“ (ახალი ათონი) და სათაფლიის მღვიმეების შიდა ხედები.

ს. ბარანოვისა და ა. ზაიცევის ფოტოები.

მიწისქვეშა „სასახლეების“ კომპლექსი

სპელეოლოგები გაახარა ცნობილმა ახის მასივმა — მიწისქვეშა „სასახლეების“ მთელმა სერიამ, რომლებიც გამოვლენილია გეგეჭკორის რაიონის მდინარე აბაშისწყლის ხეობაში. ყველაზე დიდ და ლამაზ მღვიმეს უწოდეს მისი პირველაღმომჩენის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, უშიშარი სპელეოლოგის, მთის მასივის კვლევის დროს ტრაგიკულად დაღუპული ა. ოქროჯანაშვილის სახელი. „დარბაზების“ თაღებქვეშ მიედინება მიწისქვეშა მდინარე, მოქუხს მძლავრი ჩანჩქერები. ერთი მათგანი 60 მეტრიდან გადმოჩქეფს. აქ არის შვიდმეტრიანი სტალაგმიტი. მას ლაზიერის ფორმა აქვს და ამიტომ აღმომჩენებმა „ჭადრაკის დედოფალი“ უწოდეს. ერთ-ერთ დარბაზს სახელგანთქმული მოჭადრაკის, დიდოსტატ ნონა გაფრინდაშვილის პატივსაცემად „ნონას დარბაზი“ დაარქვეს. ამ კირქვიან მღვიმეთა სისტემის საერთო სიგრძე 15 კილომეტრს აღემატება.

მღვიმეებს ფართო და მრავალმხრივი გამოყენება აქვს სახალხო მეურნეობაშიც. მჰიშტას კარსტული მღვიმეების ბაზაზე გუდაუთის რაიონში შექმნილია შავწყალას მეკალმახეობის მეურნეობა. რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალი სათაფლიას იყენებს ბრონქიალური ასთმისა და ყივანახველას სამკურნალოდ. მიწისქვეშა გამოქვაბულები ეს არის საიმედო ბუნებრივი საწყობები და მაცივრები.

ჯერი თქვენზეა, მამაცებო!

ბუნების ძვირფას საჩუქრებს — მღვიმეებს ღრმა მეცნიერული შესწავლა სჭირდება. დასაჩქარებელია მღვიმეების კეთილმოწყობა, საშური საქმეა მღვიმეების, უფსკრულებისა და კანიონების სპორტულ-ტურისტული ათვისება, რასაც დღემდე თითქმის სრულებით არ ექცევა ყურადღება. ამისათვის პირველ რიგში საჭიროა უმაღლეს სასწავლებლებში, მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებში შეიქმნას სპელეოლოგ-სპორტსმენთა და ტურისტთა სექციები. მეტ ყურადღებას მოითხოვს მიწისქვეშა ძეგლების მკვლევართა მომზადება. ეს დიდი პატრიოტული საქმეა. ეროვნულ საუნჯეს ყოველმხრივ უნდა გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ!

ჯერი თქვენზეა, მამაცებო!

დ. ბიწაძე.

XVI მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

როგორ ვემზადებით მას?

გულახდილი საუბარი და... მოახლოებული სტარტები

მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის მოფარიკავეები 10 ივლისიდან ჩაებმებიან, მანამდე კი საქართველოს ნაკრები (უფროსი მწვრთნელი ვ. ყორიაშვილი) ათდღიან შეკრებაზე იმყოფება ქალაქ კაუნასში. სანამ წლევანდელი სპარტაკიადისთვის ჩვენი მოფარიკავეების მომზადების დონეზე ვისაუბრებდეთ, გავიხსენოთ, თუ როგორი მაჩვენებლები ჰქონდათ მათ გასული წლების სპარტაკიადებზე: 1974 წელს საქართველოდან წარგზავნილმა მოფარიკავეებმა საერთო V ადგილი მოიპოვეს, მომდევნო სპარტაკიადაზე ერთი ადგილით დაიხიეს უკან, ხოლო XV სპარტაკიადაზე კვლავ V ადგილზე გადაინაცვლეს.

კაუნასში ჩვენი 5 გოგონა და 15 ვაჟი გაემგზავრა. აქედან 14 სპორტსმენი ფარიკაობის სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელია, ორი ქუთაისიდანაა, ორი სპორტინტერნატიდან გახლავთ და ორიც—პიონერთა სასახლიდან. ამ 20 მოფარიკავიდან 16 საუკეთესოს ელის სასპარტაკიადო გამოცდა. თუ როგორ ფორმაშია მოახლოებული სტარტებისათვის საქართველოს ნაკრები, ამის შესახებ გვესაუბრება მოფარიკავეთა მწვრთნელი ლუდვიგ დალანიძე:

— გასული წლების სპარტაკიადებში მოპოვებული წარმატებები დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ, წლევანდელ სპარტაკიადაზე შედარებით სუსტი გუნდია გაგზავნილი და ადვილი შესაძლებელია ლვოვსა და ტაშკენტში მოპოვებული V-VI ადგილები წლეულს სანატრელიც კი გაგვიხდეს. ძალ-ღონე არ დაგვიზოგავს იმისათვის, რომ საკავშირო სპარტაკიადაზე ძლიერი შემადგენლობა გაგვეყვანა, მაგრამ მოგეხსენებათ, მარტო მონდომება საქმეს არ შველის. სამწუხაროდ, ძალზე იშვიათად ვიღებთ შევსებას პერიფერიებიდან, და თუ ვიღებთ, დაბალ დონეზე მომზადებულს. საქართველოს რაიონებში სხვადასხვა საზოგადოებებთან და უწყებებთან ფარიკაობის ჯგუფები გახსნილია: აფხაზეთში, აჭარაში, ზესტაფონში, ტყიბულში, ჭიათურაში, ქუთაისში, რუსთავში და ამათგან საქართველოს ნაკრებისთვის მხოლოდ ქუთაისმა შეძლო 2 კანდიდატის მომზადება. რაც მთავარია, მოზარდებში თანდათან იკლებს ფარიკაობისადმი ინტერესი. არადა, როგორც ვიცით, სპორტის კლასიკურ სახეობათაგან საქართველოში ყველაზე ადრე, 1887 წელს ფარიკაობა ჩაისახა, 1894 წლიდან უკვე დაიწყო მუშაობა ფარიკაობის წრემ. მიუხედავად ამ ძირძველი ტრადიციებისა, რატომღაც თანდათან განელდა სიმპათია სპორტის ამ კლასიკური სახეობისადმი.

საუბარი ცოტა გამიგრძელდა, მაგრამ სათქმელი ჯობია ითქვას, ჩვენს ნაკლოვანებებზე ჩვენვე თუ არ ვილაპარაკეთ, უფრო გართულდება საქმე.

რაც შეეხება ნაკრებ გუნდს, კაუნასში გამგზავრებამდე იგი თბილისში გადიოდა წინასაშეჯიბრო შეკრებას. ნაკრების წევრებმა კარგად იციან, რომ მათ მიერ მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადაზე მოპოვებული ქულები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩათვლაში შედის, ამიტომ მონდომებას არ დაიშურებენ.

საუბარი ჩაიწერა
მ. ჩალათაშვილმა.

სურათზე: ხმლით მოფარიკავენი მორიგ ვარჯიშზე.
ე. ხუცურაულის ფოტო.

წილისყრა შედგა

ევროპის საფეხბურთო წრეების ყურადღება ამ დღეებში მიპყრობილი იყო შვეიცარიის ქალაქ ციურიხისკენ, სადაც 7 ივლისს შედგა ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის წილისყრა.

„იზვესტიის“ საკუთარმა კორესპონდენტმა შვეიცარიაში ინტერვიუ აიღო უეფა-ს გენერალურ მდივანთან **ჰანს ბანგერტერთან**, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

— ფეხბურთი უწინდებურად სპორტის ყველაზე უფრო პოპულარული სახეობაა მსოფლიოშიც და ევროპაშიც. ამ თამაშმა ბოლო ხანებში დიდი პოპულარობა ჰპოვა ქალთა შორისაც, ამიტომ ახლა უეფა-ში გულდასმით შევისწავლით საკითხს, რათა მოვაწყოთ ფეხბურთელ ქალთა ეროვნული ნაკრები გუნდების საკონტინენტო გათამაშება.

ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა ასაკი 16 წლიდან შემცირდა 14-მდე. 1984 წელს ასეთი ჩემპიონატი, 14 წლის ჭაბუკთა მონაწილეობით, გაიმართება სსრ კავშირში.

შეკითხვაზე, თუ რა შეფასებას აძლევს ჰ. ბანგერტერი საბჭოთა ფეხბურთს, მან აღნიშნა:

— საბჭოთა ფეხბურთელთა მონაწილეობა თასების მფლობელთა თასის ფინალში თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ფეხბურთი აქ აღმავლობის გზაზეა. კიევის დინამოელებმა 1975 წელს ამ ტურნირში შესანიშნავად ითამაშეს და სუპერთასიც მოიგეს. ამისივე დამადასტურებელია თბილისის „დინამოს“ წლევანდელი წარმატება და ისიც, რომ მან ინგლისის „ლივერპულთან“ უნდა ითამაშოს სუპერთასისთვის. საგანგებოდ მინდა გავუსვა ხაზი, რომ თბილისის დინამოელთა თამაში ყოველთვის სიურპრიზს წარმოადგენს და მისი შეხვედრა ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენლებთან უდიდეს ინტერესს იწვევს როგორც სპეციალისტთა შორის, ისე ფართო სპორტულ საზოგადოებრიობაში.

ჰ. ბანგერტერმა აღნიშნა ისიც, რომ საჭიროა ამაღლდეს ფეხბურთის სანახაობრივი მხარე, ესთეტიკურობა, არტისტულობა და მიმზიდველობა. ყველამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ გაუმჯობესდეს სტადიონზე მაყურებელთა მომსახურება. კარგა ხანია პროპაგანდა ეწევა საფეხბურთო მატჩებზე ოჯახებით დასწრებას, ფეხბურთმა უნდა განამტკიცოს ოჯახი. ძნელი საქმე არაა დიდ სტადიონებთან მოეწყოს ბავშვთა მოედნები, სადაც შესაბამისი პერსონალის მეთვალყურეობით ბავშვებს შეეძლებათ თამაში, სანამ მათი მშობლები მატჩებს უყურებენ. ბავშვები დაისვენებენ სპორტითაც და მშობლების მეურვეობისგანაც, ხოლო მშობლები დაისვენებენ ტრიბუნებზე. ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი რამ უკვე ხორციელდება.

უეფა-ს სამდივნო ახლა დაკავებულია მომავალი კონგრესის საკითხებით, რომელიც დრეზდენში გაიმართება მომავალი წლის ზაფხულში. მზადდება ფეხბურთის არბიტრთა სემინარი, რომლის ორგანიზატორია უნგრეთის ფეხბურთის ფედერაცია. ეს ღონისძიებაც 1982 წლისთვისაა დაგეგმილი.

აი, ევროპის საკლუბო საფეხბურთო ტურნირების წილისყრის შედეგებიც, რომელსაც ყველანი ასე მოუთმენლად ველოდით.

ჩემპიონთა თასი

„დინამო“ (კიევი, სსრ კავშირი) —
„ტრაბზონსპორი“ (თურქეთი).

თასების მფლობელთა თასი

„დინამო“ (თბილისი, სსრ კავშირი) —
„გრაცერი“ (გრაცი, ავსტრია);
ასკ (დონის როსტოვი, სსრ კავშირი) —
„ანკარაგიუჯიუ“ (თურქეთი).

უეფას თასი

„სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრ კავშირი) —
„ბრიუგე“ (ბელგია);
„ზენიტი“ (ლენინგრადი, სსრ კავშირი) —
„დინამო“ (დრეზდენი, გდრ);
ცსკა (მოსკოვი, სსრ კავშირი) —
„შტურმი“ (ავსტრია).

ჩვენი ქვეყნის გუნდები პირველ მატჩებს საკუთარ მინდვრებზე ჩაატარებენ.

პირველი წრის შეხვედრები გაიმართება 16 და 30 სექტემბერს.

მეორე წრის კენჭისყრა მოეწყობა 2 ოქტომბერს, ხოლო მატჩები გაიმართება 21 ოქტომბერს და 4 ნოემბერს.

უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები (6 ნოემბერს მოწყობილი კენჭისყრის შემდეგ) დანიშნულია 25 ნოემბერს და 9 დეკემბერს.

ყველა ევროპული ტურნირის მეოთხედფინალები ჩატარდება 1982 წლის 3 და 17 მარტს. თასების მფლობელთა თასის ფინალი გაიმართება 12 მაისს, ჩემპიონთა თასის — 26 მაისს, უეფა-ს თასის მფლობელი გაირკვევა ორი მატჩის (5 და 19 მაისს) შედეგად.

უმაღლესი ლიგა

გუშინ დაიწყო სსრ კავშირის 1981 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის II წრე. მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები „ტორპედო“ და „სპარტაკი“.

მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 2:2.

„ოქროს ბუცი“ — გ. სლავკოვს

ბულგარეთის ეროვნული ნაკრებისა და კლუბ „თრაკიას“ თავდამსხმელმა გეორგი სლავკოვმა წარმატებას მიაღწია ევროპის ეროვნული ჩემპიონატების ბომბარდირთა დავაში და თავისი ქვეყნის პირველობის მატჩებში გაიტანა 31 გოლი.

გ. სლავკოვს მიეკუთვნა ევროპის საუკეთესო სნაიპერის სპეციალური პრიზი „ოქროს ბუცი“, რომელიც დაწესებულია ფრანგული ჟურნალის „ფრანს ფუტბოლის“ მიერ.

საინტერესოა, რომ გ. სლავკოვის ეს წარმატება განაპირობა ბულგარეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩმა, სადაც მან 4 ბურთი გაიტანა.

ბულგარეთის მიმდინარე ჩემპიონატში „თრაკიამ“ დაიკავა მესამე ადგილი, გაიტანა 64 ბურთი.

„ვერცხლის ბუცი“ მიეკუთვნა უნგრელ თავდამსხმელს ნილაშის — 30 გოლი, ხოლო „ბრინჯაოსი“ — გფრ-ის ნაკრების ფორვარდს რუმენიგეს — 29 ბურთი.

დებულება დაზუსტდა

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ საკავშირო გათამაშების დებულებაში განსაზღვრა თუ როგორ უნდა მოხდეს გუნდების გადასვლა პირველი ლიგიდან მეორეში და მეორედან — პირველში.

დებულებაში ადრევე იყო გათვალისწინებული, რომ 1981 წლის I ლიგის გათამაშებაში ბოლო 5 ადგილზე გასული გუნდები დატოვებენ ლიგას და გადავლენ მეორეში, ხოლო მათს ადგილს დაიკავებს II ლიგის ზონებში გამარჯვებული 3 გუნდი, რის შედეგადაც 1982 წლისთვის I ლიგაში ითამაშებს არა 24 გუნდი, როგორც ახლაა, არამედ 22.

II ლიგის საკავშირო გათამაშება მიმდინარეობს 9 ზონაში, ყოველი ზონის გამარჯვებული გუნდები (სულ — 9) წილისყრით შექმნიან 3 ფინალურ ჯგუფს და წრიული სისტემით, ე. ი. საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე, გაითამაშებენ I ლიგის 3 საგზურს.

გათვალისწინებულია ისიც, რომ რესპუბლიკურ ჩემპიონატებში გამარჯვებულ გუნდებს უფლება აქვთ გადავიდნენ მეორე ლიგაში იმ გუნდის ნაცვლად, რომლებიც ამ რესპუბლიკიდან ლიგაში დაიკავებს უარეს ადგილს.

რესპუბლიკური ჩემპიონებისა და II ლიგის გუნდების ურთიერთ შეცვლის საკითხს განიხილავენ რესპუბლიკური სპორტკომიტეტები.

სპორტტექნიკურ კომისიაში

რესპუბლიკის საფეხბურთო შეჯიბრებებში ჯერ კიდევ არ აღმოიფხვრა უდისციპლინობა, რის გამოც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურ კომისიას უხდება დამნაშავეთა საკითხის განხილვა და მათს მიმართ სათანადო სანქციების მიღება.

ლაითურის „გიგანტის“ ფეხბურთელმა ლ. ბაქანიძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს, რისთვისაც იგი დისკვალიფიცირებულია 1 წლით. ანალოგიური დანაშაულისთვის სასჯელის ასეთივე ზომა დაიმსახურეს ჭიათურის „მაღაროელისა“ და ახალქალაქის „აბულის“ მოთამაშეებმა ბ. არჩვაძემ და ქ. უსნიანმა.

ლაგოდეხის „ჰერეთმა“ ჩაშალა თამაში ახალქალაქის „აბულთან“, ამიტომ ლაგოდეხელებს პირობითი დისკვალიფიკაცია მისცეს ერთი წლით, ხოლო მწვრთნელი დ. ფოფხაძე გაათავისუფლეს.

2-2 თამაშით მიეცათ დისკვალიფიკაცია ა. არევაძეს („ალაზანი“, გურჯაანი) და ა. გედევანოვს („გიგანტი“, ლაითური), 3-3 თამაშით — თ. კაკაბაძეს („იმერეთი“, წულუკიძე), მ. გუგუბერიძეს („თორი“, ბორჯომი), შ. სომხიშვილს („დინამო“, ზუგდიდი).

კასპის „განთიადის“ ფეხბურთელმა ა. ქერდიყოშვილმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეს, რისთვისაც დისკვალიფიკაცია მიეცა 5 კალენდარული მატჩით. ამას გარდა, იგი პირობითად დისკვალიფიცირებულია 10 კალენდარული თამაშით. I წრის ბოლომდე დისკვალიფიცირებულია ქობულეთის „მუქურას“ წევრი გ. ჯორბენაძე.

საგანგებო მსჯელობის საგნად იქცა ქარელის „იბერიის“ ხელმძღვანელობის ულირსი საქციელი. 20 ივნისის კალენდარულ მატჩში საგარეჯოს „გარეჯთან“ მეკარე ბ. ბარბაძის გვარით გუნდის შემადგენლობაში ითამაშა სხვა ფეხბურთელმა და ეს ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩა. აღსანიშნავია ისიც, რომ სპორტტექნიკური კომისიის სხდომაზე არ გამოცხადდნენ ქარელის გუნდის წარმომადგენლები.

ეს მატჩი „იბერიას“ მოგებული ჰქონდა ანგარიშით 3:2. სპორტტექნიკურმა კომისიამ შედეგი გააუქმა. გამარჯვება ჩაუთვალა „გარეჯს“, ამას გარდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქარელის სპორტული მესვეურები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ თავიანთ გუნდს, არა აქვთ სტადიონზე წესრიგი, რის გამოც კალენდარული მატჩები ქარელში არანორმალურ პირობებში მიმდინარეობს.

ანალოგიური დარღვევა მოხდა თბილისის „ავტომობილისტისა“ და ხაშურის „ივერიის“ კალენდარულ მატჩში 21 ივნისს. „ავტომობილისტის“ მწვრთნელმა თ. მახარაძემ ფეხბურთელ ა. ხინჩაგაშვილის გვარით ათამაშა დისკვალიფიცირებული მოთამაშე გ. იმნაძე.

თბილისის გუნდისთვის ეს შეუფერებელი საქციელია, ამიტომ გაერთიანების ხელმძღვანელობამ შესაბამის ზომებს უნდა მიმართოს დამნაშავეთა მიმართ. რაც შეეხება თვით მატჩს, მისი შედეგი 2:1, „ავტომობილისტის“ სასარგებლოდ გაუქმდა. „ივერიას“ დაეწერა 2 ქულა. ყველაფერ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ „ავტომობილისტის“ მწვრთნელი თ. მახარაძე არ გამოცხადდა კომისიის სხდომაზე.

უდიერად იქცევიან ჭიათურის „მაღაროელის“ ფეხბურთელები. ისინი სისტემატურად ეკამათებიან მსაჯებს, უხეშობენ, მათ არ „ჩამორჩებიან“ მწვრთნელებიც. ჭიათურის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ დროულად უნდა მიმართოს ზომებს გუნდში ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად.

თბილისის „ავაზას“ ჭაბუკ ფეხბურთელთა კოლექტივში ხულიგნობით გამოირჩეოდა დ. ჩაგრაგანიძე, რისთვისაც მას საერთოდ აეკრძალა ფეხბურთის თამაში ოფიციალურ შეჯიბრებებში. ამას გარდა, წლის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მიეცათ ი. თოფურიას, ო. მსტოიანს და გ. ღრუშაძეს. სკოლის დირექციის წინაშე დაისვა საკითხი, რათა სამუშაოდან გაათავისუფლოს ულირსი მწვრთნელი ვ. კუტმანი. იმედია, თბილისის „ავაზას“ ხელმძღვანელობა სათანადო ღონისძიებებს გაატარებს სკოლის ღირსებისა და ავტორიტეტის შესანარჩუნებლად.

რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ხელმძღვანელებს დაევალათ მოიწვიონ საერთო კრება და გაეცნონ საქართველოს პირველობის დებულებას, იმსჯელონ დისციპლინის გაუმჯობესებისთვის. სპორტტექნიკური კომისია მკაცრად დაიცავს თავის მითითებებს და იბრძოლებს დისციპლინის დასამყარებლად.

ი. ბოჟორაძე,
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ელექტრომპექსი“ თბილისში

მრავლისმნახველი წყალბურთელების, წყალში მხტომელების, მოცურავეების, მათი მწვრთნელებისა თუ სპორტული ჟურნალისტებისგან ბევრი კომპლიმენტი ხვდა წილად თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსს. ყველა სპეციალისტი ერთხმად აღნიშნავდა, რომ ეს კომპლექსი მსოფლიოს სტანდარტების დონეზეა აგებული.

სამწუხაროდ, იგივე სპორტსმენებს და სპეციალისტებს ერთგვარი უკმაყოფილების გრძნობა ეუფლებოდათ ასპარეზობათა მსვლელობისას, ვინაიდან აქ არ იგულებოდათ ამგვარი ბაზის შესაფერი ტაბლო, რომლის საშუალებითაც ოპერატიულად მიიღებდნენ სხვადასხვა ინფორმაციას.

და აი, ამას წინათ ამ კომპლექსში ტაბლოს დამონტაჟება დაიწყეს. ამ სამუშაოს უნგრეთის ცნობილი ფირმის — „ელექტროიმპექსის“ სპეციალისტები ასრულებენ. მთავარი კონსტრუქტორი **მ. დიორდი** გახლავთ. ელექტრიკოსი **გ. ნადი**, მემონტაჟეები **ფ. გლახი** და **ლ. ალმადი** **ა. შარკეზის** ხელძღვანელობით მუშაობენ.

● **კიდევ რომელ ქვეყნებში იყენებენ „ელექტროიმპექსის“ ტაბლოებს? — ვეკითხებით უნგრელ სპეციალისტებს.**

— „ელექტროიმპექსის“ ტაბლოები მსოფლიოს მრავალ სპორტულ ბაზებზეა დამონტაჟებული. ჩვენი ტაბლოებით სარგებლობენ სირიაში, დამასკოში, ბუდაპეშტში.... საბჭოთა კავშირში სამი ამგვარი ტაბლო დავდგით მოსკოვში. მართალია, მოსკოვისა და თბილისის ტაბლოები ერთი ტიპისაა, მაგრამ განსხვავება მაინც არის. მაგალითად, მოსკოვში დამონტაჟებული ტაბლოები მოცურავეებსა და წყალბურთელებს, ან წყალბურთელებსა და წყალში მხტომელებს ემსახურება, თქვენი ტაბლო კი სპორტის სამივე სახეობის ასპარეზობის შესახებ გააკეთებს ინფორმაციებს.

● **ჩვენი ტაბლო რომელ ენაზე ამეტყველდება?**

— იმ ხალხთა ენებზე, რომლებიც ლათინურ ანბანს ხმარობენ. ტაბლოს 12 ხაზი აქვს. თითოეულ მათგანზე 33 ნიშანი დაეტევა. მისი ზომა 4,97X10,06 მეტრია.

● **მოცურავეთა სასტარტო ბაქნები მოგიხსნიათ, კაბელებიც გაგყავთ, როგორც ჩანს, ავტომატურ წამმზომს ამონტაჟებთ და ტაბლოს უერთებთ.,**

— სწორი ბრძანდებით, ავტომატური წამმზომი ტაბლოზე ყველა შედეგს აღბეჭდავს, დისტანციის რომელ მონაკვეთზეც არ უნდა იყოს მოცურავე. ფინიშთან, როგორც კი სპორტსმენი აუზის ბორტს შეეხება წამმზომი ავტომატურად გამოირთვება და საბოლოო შედეგი ტაბლოზე დაფიქსირდება.

* * *

უნგრელ სპეციალისტებთან საუბრის შემდეგ თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსის დირექტორს **ვ. გოიაშვილსაც** გავესაუბრეთ.

● **პირველად რომელ შეჯიბრებას მოემსახურება ეს ჩინებული ტაბლო?**

— აგვისტოში აქ მოცურავეთა ორი დიდი შეჯიბრება — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და ჩვენი ქვეყნის და აშშ-ს ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა გაიმართება. პირველი შეჯიბრება 12 აგვისტოს დაიწყება, მეორე — 21-ში. ტაბლოს სიკეთესაც სწორედ ამ დიდ შეჯიბრებებზე ვნახავთ. იგი უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს, როგორც მაყურებელს, ისე სპორტსმენებს, მსაჯებს, ჟურნალისტებს.... აქვე უნდა ითქვას, რომ „იუნმშენი“, რომელმაც ეს კომპლექსი ააშენა, თუ არ დააჩქარებს სამუშაოებს, თუ დროულად არ მოგვაშველებს საჭირო რაოდენობის კაბელებსა და ელექტრიკოსებს, ზემოხსენებული ასპარეზობებისთვის ტაბლოს ამუშავება შესაძლოა არ მოხერხდეს.

ა. რაჭველიშვილი.



ს უ რ ა თ ზ ე: უნგრელი სპეციალისტები (მარცხნიდან) გ. ნადი, ა. შარკეზი, ფ. გლახი და ლ. ალმადი. უკანა პლანზე საწყალოსნო კომპლექსის ტაბლო.

ავტორის ფოტო.

„შრომითი რეზერვების“ XVI საკავშირო...

● პირველი ფინალური შეხვედრები

პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ფრენბურთელთა შეჯიბრებაში, რომელიც თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში მიმდინარეობს, დაიწყო ფინალური შეხვედრები. საქართველოს გოგონათა გუნდის მეტოქე იყო რსფსრ-ს ნაკრები. ჩვენმა ფრენბურთელებმა საუცხოოდ იასპარეზეს და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს — 3:1.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკთა გუნდზე. ის უკრაინელთა წინააღმდეგ თამაშობდა და დამარცხდა — 0:3.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია:

გოგონები. ყაზახეთი—თურქმენეთი 3:1, ლენინგრადი — აზერბაიჯანი 3:0, სომხეთი—ტაჯიკეთი 3:0.

ჭაბუკები. რსფსრ — ყირგიზეთი 3:0, აზერბაიჯანი — სომხეთი 2:3, ესტონეთი — მოლდავეთი 3:1, ლენინგრადი — ტაჯიკეთი 3:1, უზბეკეთი — ყაზახეთი 3:2.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: რსფსრ-სა და საქართველოს ფრენბურთელთა შეხვედრის მომენტი; წუთშესვენებაზე.

გ. დოლენჯაშვილის

ტექსტი და ფოტოები.

მთავარ ტურნირზე

როგორც ვიუწყებოდით, გამოვლინდნენ მსოფლიოს ჩოგბურთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ასპარეზობის, უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებულნი. ვაჟთა შორის ეს გახლავთ 22 წლის ამერიკელი ჩოგბურთელი ჯონ მაკინროი, რომელმაც ფინალში დაამარცხა ბიორნ ბორგი (შვეცია).

ფინალური ორთაბრძოლა სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და დამთავრდა ანგარიშით 4:6, 7:6, 6:4 მაკინროის სასარგებლოდ. ამერიკელი ჩოგბურთელი — მსოფლიოს პირველი ჩოგანის სახელისთვის ბორგის მთავარი კონკურენტი — უკანასკნელ წლებში წარმატებას აღწევს უფრო ძლიერი და ზუსტი მოწოდების, ბადესთან შესანიშნავი თამაშის წყალობით.

უნდა აღინიშნოს, რომ მაკინროი, რომელიც საერთოდ გამოირჩევა თავდაუჭერლობით ამჯერად ერთობ კორექტულად იქცეოდა.

მაკინროი უიმბლდონის ტურნირის ორგზის ჩემპიონი გახდა — მან წყვილთა შეჯიბრებაც მოიგო თანამემამულე პიტერ ფლემინგთან ერთად.

ქალებში ჩემპიონობა მესამედ მოიპოვა კრის ევერტ-ლოიდმა. ჰანა მანდლიკოვამ (ჩეხოსლოვაკია), რომელიც დამაჯერებლად მიიწევდა ფინალისკენ, დასკვნითი შეხვედრა წააგო ამ გამოცდილ მეტოქესთან — 2:6, 2:6. ამრიგად, ევერტ-ლოიდმა აიღო რევანში საფრანგეთის ღია ჩემპიონატში წაგებისთვის.

● **ჩოგბურთი**

საუკეთესონი

„გრან-პრის“ წლევანდელ გათამაშებაში მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი, შვედი ბიორნ ბორგი მე-10 ადგილზეა. ამის მიზეზია ის ხშირი ტრავმები, რომელიც ბორგმა მიიღო სეზონის განმავლობაში. ქვემოთ ვაქვეყნებთ იმ ათეულის ძირითად შემადგენლობას, რომელიც იბრძვის „გრან-პრის“ წლევანდელ გათამაშებაში:

1. ჯიმი კონორსი (აშშ) — 1050 ქულა, 2. ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — 1016, 3. როსკუ ტანერი (აშშ) — 708, 4. მაკინროი (აშშ) — 645, 5. გილიერმო ვილასი (არგენტინა) — 640, 6. ვიქტორ პეჩი (პარაგვაი) — 612, 7. იანი ნოა (საფრანგეთი) — 580, 8. ჟენე მაიერი (აშშ) — 559, 9. ჰაროლდ სალომონი (აშშ) — 507, 10. ბიორნ ბორგი (შვეცია) — 489.

ხვალ სტარტია

თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში 9 ივლისს იწყება სსრ კავშირის წყალში მხტომელთა ჩემპიონატი.

თბილისელ მაყურებელს საინტერესო და დაძაბული სანახაობა ელის. როგორც შარშან, მათ ახლაც ექნებათ შესაძლებლობა იხილონ სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები, აგრეთვე ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები თუ პრიზიორები. სარბილეზე სხვებთან ერთად გამოვლენ თბილისელები, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. ცოტაძე და საკავშირო თასის მფლობელი ს. შალიბაშვილი.

შეჯიბრებები დაიწყება 10 და 17 საათზე. ასპარეზობა 14 ივლისამდე გასტანს.

● **ფარიკაობა**

კლერმონ-ფერანში (საფრანგეთი) გრძელდება მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. პირადი პირველობა დაამთავრეს ქალებმა. ოქროს მედალი მოიგო ჰანიშმა (გფრ). II ადგილზეა ლუანი (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), III—ვაკარონი (იტალია). საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო იყო სიდოროვა, რომელმაც V ადგილი დაიკავა.

გუშინ დავა დაამთავრეს ხმლით მოფარიკავეებმა. ფინალში ვარშაველმა სტუდენტმა დ. ვუდკემ მოუგო უნგრელ ი. გედევარის — 10:7. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში იტალიელმა მ. მაფეიმ დაამარცხა მინსკელი ნ. ალიოხინი— 10:8.

● **მშვილდოსნობა**

ულან-უდეში დასრულდა საკავშირო თასის გათამაშება მშვილდოსნობაში. ქალთა შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწია წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულმა მოსკოველმა ნ. ბუტუზოვამ — 2553 ქულა. მან პირველად მოიპოვა ეს პრიზი. ვაჟთა ასპარეზობაში თასის მფლობელი გახდა ნოვაია კახოვკელი ს. ტელიგა. მან ისე, როგორც ჩიტელმა ვ. ეშეევმა საბოლოოდ 2529 ქულა მოაგროვა, მაგრამ ტელიგას მეტი ათიანები აღმოაჩნდა და გამარჯვებაც მას მიეკუთვნა. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა „დინამომ“ მოიგო (ამ შეჯიბრებაში თბილისელი ქ. ლოსაბერიძე არ მონაწილეობდა).

პანორამა

● **მძლეოსნობა**

მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სტუდენტთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომლის მიზანი იყო უნივერსიადა — 81-ისთვის ძალთა დათვალიერება. მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის სტუდენტმა ე. ბესკროვნიმ სამხტომში ქვეყნის დედაქალაქის რეკორდი დაამყარა, მან 17,21 მ „იფრინა“. ლენინგრადელმა ე. მირონოვმა ბირთვის კვრა მოიგო — 20,18 მ.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; კადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
უე 08051
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17